

კოლეჯის "თეთნულდი" ინფორმაციის ტექნოლოგიების სტუდენტი, რომელმაც IT მხარდაჭერის სპეციალობის მე-2 სტუდენტურ ოლიმპიადაში პირველი ადგილი დაიკავა



დღვანდელ სამყაროში, ყოველი საქმე დაკავშირებული არის კომპიუტერებთან და ციფრულ მოწყობილობებთან, აქედან გამომდინარე ეს პროფესია (IT მხარდაჭერის სპეციალობა) საკმაოდ მოთხოვნადი პროფესიაა, შესაბამისად მისი დასაქმების სფეროც ფართოა, ამ პროფესიით შეგიძლია დასაქმდე თითქმის ყველა იმ კომპანიაში სადაც კომპიუტერია.

სვანეთში ამ სპეციალობის მქონე ადამიანების ნამდვილად დიდი დეფიციტია, ხშირად გამიგია ჩემი მეგობრებისგან რომ მათ სჭირდებათ ვინდოუსის გადაყენება ან კომპიუტერის გაწმენდა (პროგრამულად), მაგრამ არავენ იციან ისეთი რომ ეს მომსახურება შეასრულოს.

სწავლებით მეთოდიდან გამომდინარე, სწავლის ნახევარზე მეტი დრო პრაქტიკულ სამუშაოებს ეთმობა, ასევე კოლეჯს გააჩნია საკუთარი ფაბლაბი, სადაც რამდენიმე მაღალტექნოლოგიური დანადგარი დგას, სწორედ ამ მანქანა-დანადგარების საშუალებით მე და ჩემი კურსელები უახლოეს მომავალში ვაპრებთ მცირე პროექტების განხორციელებას.


ჩვენს სპეციალობაში ჩემი აზრით ნამდვილად არ არის დარღვეული გენდერული ბალანსი რადგან, ამ სპეციალობის სტუდენტთა ნახევარზე მეტი ქალია. ისე ყველა სფეროში საჭიროა გენდერული ბალანსი, განსაკუთრებით იქ სადაც ორივე სქესის წარმომადგენელს შეუძლია თანაბრად იმუშაოს.

როგორც თავიდანვე ავლნიშნე ეს პროფესია მიუხედავად იმისა დასაქმდები თუ არა ამ სფეროში, კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაზისო ცოდან ყველა 21-ე საუკუნე ადამიანს უნდა ჰქონდეს რადგან, 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა.

კოლეჯი თეთნულდი სხვა კოლეჯებისაგან სტუდენტთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომით გამოირჩევა, ხოლო ეს პროგრამა თავის მასწავლებლოითა და შინაარსით. მოგეხსენებთ მე სკოლის მოსწავლე ვარ და რაღაც სირთულეებთან არის დაკავშირებული ყოველ დღიურად სკოლიდან (გაკვეთილების გამო) კოლეჯში ზუსტ დროზე მისვლა, მაგრამ კოლეჯის ადმინისტრაცია ამ მხრივაც ხელს მიწყობს რომ სკოლას შევუთავსო კოლეჯში სწავლა.

წელს IT მხარდამჭერის სპეციალობის მე-2 სტუდენტურ ოლიმპიადაში პირველი ადგილი დავიკავე . ეს ჩემი პედაგოგის თაბუკა ციმინტიას და კოლეჯის დიდი თანადგომის დამსახურებაა. მდლობას ვუხდი მათ ამ შესაძლებლობისთვის.

ლიკა გაბლიანი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მომავალი სპეციალისტი.



"ტექნოლოგიებისკენ სწრაფვამ და ინტერესმა გადამაწყვეტინა IT სპეციალობაზე ჩამებარებინა. მიუხედავად რთული გრაფიკისა - სკოლის შემდეგ მოვდივარ კოლეჯში, ყოველდღიურად იზრდება ჩემი ინტერესი კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართ.

ძალიან მომწონს ის, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებთ. ვსწავლობთ ყველანაირ სისტემას, კომპიუტერულ ტექნიკას და მის კომპონენტებს - ვშლით, ვაწყობთ, დეტალურად განვიხილავთ და პრეზენტაციებს ვაკეთებთ. ბოლო წლებამდე ეს პროფესია ქალებში ნაკლებად პოპულარული იყო, ახლა კი ხშირად უმრავლესობაშიც კი ვართ, რაც ძალიან მახარებს და ვფიქრობ, რომ დასაქმებაშიც აღარაფერი შეგვიშლის ხელს

ჩემი პროფესია ძალიან მოთხოვნადია სვანეთში, თუმცა ადგილობრივი კადრი არც ისე ბევრია. ის, რასაც კოლეჯში "თეთნულდი" ვეუფლები, მგონია, რომ კონკურენტუნარიანს გამხდის არამხოლოდ ჩვენს რეგიონში, რადგან IT სპეციალისტი ყველგან ძალიან მოთხოვნადი კადრია".

ელექტრობის მიმართულების სტუდენტი, ლაშა ნიჭარაძე.



სწავლა არასდროსაა გვიან და ზედმეტი - "43 წლის ასაკში შევიცვალე პროფესია და კოლეჯში ელექტრობაზე ჩავაბარე. ძალიან მომწონდა ეს მიმართულება და მინდოდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ერთად მიმეღო.

რამდენიმე თვის წინ, ისე, რომ პროგრამა ჯერ არ დამისრულებია, ერთ-ერთ კომპანიაში ელექტრიკოსად მოვეწვეე. აქ მიღებული პრაქტიკული ცოდნა ახლანდელ სამსახურშიც ძალიან მეხმარება. ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც კოლეჯში დავეუფლე, უსაფრთხოების ნორმების დაცვაა, რაც მიცავს მეც, ჩემთან მომუშავე ადამიანებს და კომპანიასაც.

ელექტრიკოსი სვანეთში და არამხოლოდ ძალიან მოთხოვნადი კადრია. წარმოუდგენელია, პროფესიული პროგრამა კარგად აითვისო და ვერ დასაქმდე. ახლა კვალიფიციური და სერთიფიცირებული კადრი ბევრად ფასდება.

კოლეჯში მიღებული ცოდნამ საქმეში უფრო თავდაჯერებული გამხადა. ამ პროფესიას ხშირად იმიტომაც უფრთხიან, რომ ჰგონიათ, დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს, რაც ასე ნამდვილად არ არის, სასიმაღლო და რთული სამუშაოები კი სხვა კვალიფიკაციის სპეციალისტების საქმეა”.